



პროფილაქტიკური ჰიგიენური საშუალების –
SCHALI® Care – FN
ქალის რექტალური სუპოზიტორების
გამოყენების ინსტრუქცია
ნევროლოგიური დარღვევები

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

პროფილაქტიკური ჰიგიენური საშუალების - SCHALI® Care - FN ქალის რექტალური სუპოზიტორების გამოყენების ინსტრუქცია ნევროლოგიური დარღვევები

ქალის რექტალური სუპოზიტორები ნევროლოგიური დარღვევების ჰიგიენისა და პროფილაქტიკისთვის **SCHALI® Care-FN** - აუმჯობესებს საერთო ნივთიერებათა ცვლასა და საერთო უჯრედების რეგენერაციას, ახდენს იმუნური დაცვის სტიმულირებას და შეიძლება გამოიყენებოდეს ნერვული სისტემის დარღვევების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის.

გამოშვების ფორმა:

ცხიმოვანი პროფილაქტიკური სანთლები, 2 გ

შემადგენლობა:

შედგება ეკოლოგიურად სუფთა, მცენარეულ-მინერალური წარმოშობის კომპონენტებისგან.

კაკაოს კარაქი, პროპოლისი, დიდი ქრისტესისხლას ფოთლების ექსტრაქტი, გვირილის ყვავილების ექსტრაქტი, მუმო, გრიფონიას თესლის ექსტრაქტი, ტიტანის დიოქსიდი.

მოქმედების მექანიზმი:

სუპოზიტორები ნატურალური მცენარეული ზეთების, მინერალებისა და ფიტოექსტრაქტების ბაზაზე, სწორ ნაწლავში თანდათანობით გახსნისას, შეიწოვება სწორი ნაწლავის ქვედა ნაწილების ლორწოვანის მიერ და ახდენს ანთების საწინააღმდეგო, მარეგენერირებელ მოქმედებას, ასევე ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში. მცენარეული და მინერალური კომპონენტები და მათი შემადგენელი ელემენტები ხელს უწყობს უჯრედული ენერგეტიკის გაუმჯობესებას არა მხოლოდ კუნთებში, არამედ სხვა ქსოვილებშიც, ასევე, ტვინის თავისუფალ უჯრედებსა (ლიმფოციტებში, მაკროფაგებში და სხვ.) და ნეირონებში. ეს უზრუნველყოფს ფსიქომასტიმულირებელ ეფექტს, რომელიც ვლინდება გონებრივი და ფიზიკური შრომისუნარიანობის ზრდაში, სიფხიზლის შეგრძნებაში, ძალებისა და ენერჯის მოზღვაებაში.

სუპოზიტორების რეგულარული გამოყენება ასევე ხელს უწყობს აზროვნების პროცესის დაჩქარებას და უფრო მკაფიოს ხდის მას, გასაგებს ხდის აზრებს, ამცირებს ძილიანობას, დაღლილობას და ანიჭებს ინტელექტუალურად რთული ამოცანების შესრულების უნარს, ასევე ამცირებს რეაქციის დროს, ზრდის მოტორულ აქტივობას და ამაგრებს პირობით რეფლექსებს.

უმჯობესდება ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონალური აქტივობა, მაგრამ არა რეცეპტორული ან მედიატორული ტიპის მიხედვით ტვინის მუშაობის სტიმულაციის ხარჯზე, რომელიც დამახასიათებელია ცენტრალური ნერვული სისტემის ტიპური სტიმულატორების მოქმედებისთვის. მოქმედების უჯრედული მექანიზმი ითვალისწინებს ნივთიერებათა ცვლის რეგულირებას და უზრუნველყოფს დაცვითი დამუხრუჭების პროცესებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, რაც გაღიზიანებადობისა და ნერვული დაძაბულობის შემცირების, გონებრივი შრომისუნარიანობის ამაღლების საშუალებას იძლევა.

იბლოკება ადრენალინისა და ნორადრენალინის (სტრესის ძირითადი ჰორმონები) გამოყოფა, ორგანიზმი იწმინდება ტოქსინებისა და თავისუფალი რადიკალებისგან, რომლებიც შლიან თავის ტვინის ქსოვილის უჯრედებს. ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის სტიმულირება აძლიერებს თირკმელზედა ჯირკვლების მიერ ადრენალინის სეკრეციას, რაც სისხლში გლუკოზის მომატებასა და გულის მუშაობის სტიმულაციას იწვევს.

მუმოს ახასიათებს დამამშვიდებელი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია მის უპირატეს ზემოქმედებასთან თავის ტვინის ქერქზე. მუმოს ზემოქმედებით ხდება ლიმბური სისტემისა და ზურგის ტვინის სტრუქტურები ს აგზნება, რაც განაპირობებს თავის ტვინის ქერქის გამაღიზიანებლების სუმაციას. ეს ეფექტი განპირობებულია მუმოს ჩარევით სეროტონინული და ადრენერგიული სისტემების ფუნქციონალურ აქტივობაში სეროტონინისა და ნორადრენალინის შეცვლის ხარჯზე, ე.ი. მისი პრო-ადრენერგიული და ანტისეროტონინული თვისებებით.

გრიფონია ხელს უწყობს განწყობის გაუმჯობესებასა და ჯანსაღი ძილის ყველა ფაზის – ჩაძინების, სწრაფი და ზედაპირული ძილის – აღდგენას, ამცირებს დათრგუნულობის, მღელვარების, ემოციური არამდგრადობის გრძნობას.

გვირილა შეიცავს ეთერზეთს, ჰამაზულენს, აპიგენინს, გლიკოზიდებს, კუმარინებს, ფიტოსტეროლებს, C ვიტამინს, ნიკოტინის მჟავას და გამოიყენება მოქმედების ფართო სპექტრით – სპაზმოლიტიკური, დამამშვიდებელი, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი და ხელს უწყობს ქსოვილების გრანულაციასა და რეგენერაციას.

პროდუქტი გამოიყენება როგორც ჰიგიენური მიზნებისთვის, პროფილაქტიკური მოქმედებით, ასევე ნერვული სისტემის დაავადებათა ფართო სპექტრის კომპლექსური თერაპიისას, გონებრივი და ფიზიკური შრომისუნარიანობის აღდგენის, ფსიქოსომატური ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

პრეპარატს გააჩნია ჰიპოალერგენული მოქმედება.

ჩვენებები:

- ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონია
- თავბრუსხვევა
- ძილის დარღვევა
- ნევრალგია
- ნევროპათია
- გაფანტული სკლეროზი
- შაკიკი (თავის ტკივილი)

გამოყენების წესი:

გამოიყენება რექტალურად. გამოყენების წინ გაათავისუფლეთ სუპოზიტორი კონტურული შეფუთვისგან. სუფთა ხელებით ფრთხილად შეიყვანეთ სუპოზიტორი უკანა ტანში, გვერდზე მწოლიარე მდგომარეობაში. შეიყვანეთ 1 სუპოზიტორი დღეში 2-ჯერ, 30 დღის განმავლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია კურსის გახანგრძლივება 90 დღემდე.

გვერდითი მოვლენები:

გვერდითი მოვლენები არაა გამოვლენილი.

არ ვითარდება დამოკიდებულება და არ ჩნდება შეწყვეტის სინდრომი.

უკუჩვენებები:

არ გამოიყენოთ ორსულობის პერიოდში. სხვა უკუჩვენებები არაა გამოვლენილი

შენახვის წესები:

პროდუქტი უნდა ინახებოდეს დაუზიანებელ შეფუთვაში გრილ ადგილზე, +4°C-დან + 15°C-მდე ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა:

ვარგისიანობის ვადა შეადგენს გამოშვების თარიღიდან 24 თვეს.

არაა რეკომენდებული პროდუქტის გამოყენება შეფუთვაზე მითითებული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

SCHALI® Care სერიის კომპლექსური საშუალებები იწარმოება ლიცენზია № 286-S საფუძველზე.